



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №36

2017 წელი 31 მაისი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე ობიექტის სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მასზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას პირდაპირი გზით მოახდინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე 45,5 კვ.მ ფართის (სველი წერტილი) (ს/კ 22.30.02.199.01.501) სარგებლობაში გადაცემა მოქალაქე ლელა ჩიქოვანზე;
2. დადგინდეს სოფელ სარფში მდებარე 45,5 კვ.მ ფართის (სველი წერტილი) (ს/კ 22.30.02.199.01.501) წლიური საიჯარო თანხა 1800 ლარის ოდენობით ;
3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე